# ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი
# (პირველადი ვარიანტი)

## შესავალი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულიწერილი 2023 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის, 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ყვარლის მუნიციპალიტეტი _ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. 1917 წლამდე ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა, 1921 წლის ადმინისტრაციული დაყოფით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ისევ თელავის მაზრას მიაკუთვნეს. 1930 წლიდან კი ყალიბდება ცალკე რაიონად.

რაც შეეხება თვით ქალაქ ყვარელს, რომელიც მდინარეების ბურსასა და დურუჯის შუაწელში მდებარეობს, ქალაქის სტატუსი მიიღო 1964 წლიდან. ყვარლის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლაგოდეხის, სამხრეთით _ გურჯაანისა და თელავის, დასავლეთით _ ახმეტის მუნიციპალიტეტები, ხოლო ჩრდილოეთით _ დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია).

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებს და ალაზნის ვაკის ნაწილს. ყვარლის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,43 %-ს, ხოლო კახეთის რეგიონის 8,2%-ს შედაგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1000,8 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 35945 კვ.კმ,

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2017 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 29,8 ათას კაცია. მუნიციპალიტეტში 22 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 21 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედივთ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ყვარლის მუნიციპალიტეტი 35-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორიცაა: მარტვილი, ახმეტა, ხობი, ყვარელი და სიღნაღი. მუნიციპალიტეტში დასახლებული 29,8 ათასი მოსახლიდან 15,1 ათასი ქალბატონია, ხოლო 14,7 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 7,7 ათასი პირი, მათ შორის 3,7 ათასი მამაკაცი და 4,0 ქალბატონი. სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 22,1 ათასი მცხოვრები მათ შორის 11,0 მამაკაცი და 11,1 ქალბატონი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1.6 ათასი 6 წლამდე ბავშვი, 6- 18 წლამდე ასაკის 3,3 ათსი ბავშვი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,78%-ს, ხოლო, კახეთისს რეგიონის 9,36%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 7.5 ათასი პენსიონერი, 3.0 ათასი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირია.

ყვარლის მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, ძირითადად მევენახეობა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იძლევა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლის 80 %. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 35 945 ჰა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე განვითარებულია მეცხოველეობა, მეფრინველეობა და სხვ. ინტენსიურად

ვითარდება მეღვინეობა, აქ თავმოყრილია მრავალი ღვინის ქარხანა. აქვეა საქვეყნოდ ცნობილი ყურძნის მიკროზონა „ქინძმარაული“.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ტურისტულ-დასასვენებლი კომპლექსები „ყვარლის ტბა“ და „ილიას ტბა“.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული შემოსავლის ძირითადი გადამხდელია ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ბორჯომის მინერალური წყლის მოპოვებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადამხდელია. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც  მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადეის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას.  მაგალითად 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გომოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 38,1 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

| ყვარლის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) | | გადასახდელები (ათას ლარებში) |
| სულ საქართველო | 3,728,600.00 | 69,700.00 | | 19,807,502.50 |
| კახეთის რეგიონი | 309,600.00 | 11,310.00 | | |
| ყვარლის მუნიციპალიტეტი | 41,100.00 | 890.20 | | 19,650.6 |
| პროცენტი საქართველოსთან | 1.10 | 1.28 | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროცენტი რეგიონთან | 13.28 | 7.87 | | |

## 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

| ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
| | | | | | | |
| შემოსავლები | **19,559.70** | **19,983.70** | **14,929.60** | **17,259.70** | **18,645.30** | **19,714.20** |
| გადასახადები | 10,741.70 | 11,656.50 | 14,340.60 | 16,670.70 | 18,056.30 | 19,125.20 |
| გრანტები | 8,146.60 | 7,829.40 | 180.00 | 180.00 | 180.00 | 180.00 |
| მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები | 7,953.80 | 7,449.40 | - | - | - | - |
| სხვა შემოსავლები | 671.40 | 497.80 | 409.00 | 409.00 | 409.00 | 409.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| ხარჯები | **13,466.10** | **13,919.80** | **14,106.20** | **15,133.80** | **15,427.60** | **15,484.90** |
| შრომის ანაზღაურება | 1,640.10 | 2,705.60 | 2,976.20 | 2,976.20 | 2,976.20 | 2,976.20 |
| საქონელი და მომსახურება | 1,540.80 | 2,082.20 | 2,297.20 | 2,346.20 | 2,398.20 | 2,432.20 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | |
| პროცენტი | 39.50 | 61.50 | 61.50 | 61.50 | 61.50 | 61.50 |
| სუბსიდიები | 5,759.50 | 7,210.00 | 7,424.30 | 8,440.80 | 8,640.50 | 8,740.00 |
| გრანტები | 34.10 | 76.20 | 77.00 | 34.10 | 76.20 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 780.00 | 740.00 | 935.40 | 935.40 | 935.40 | 935.40 |
| სხვა ხარჯები | 3,672.10 | 1,044.30 | 334.60 | 339.60 | 339.60 | 339.60 |
| | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | **6,093.60** | **6,063.90** | **823.40** | **2,125.90** | **3,217.70** | **4,229.30** |
| | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | **4,954.20** | **9,320.70** | **743.40** | **719.80** | **745.80** | **752.30** |
| ზრდა | 6,108.20 | 9,490.70 | 943.40 | 919.80 | 945.80 | 952.30 |
| კლება | 1,154.00 | 170.00 | 200.00 | 200.00 | 200.00 | 200.00 |
| | | | | | | |
| მთლიანი სალდო | **1,139.40** | **(3,256.80)** | **80.00** | **1,406.10** | **2,471.90** | **3,477.00** |
| | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | **1,063.10** | **(3,333.10)** | **-** | **1,326.10** | **2,391.90** | **3,397.00** |
| ზრდა | 1,324.60 | | | 1,326.10 | 2,391.90 | 3,397.00 |
| კლება | 261.50 | 3,333.10 | | | - | - |
| | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | **76.30** | **76.30** | **80.00** | **80.00** | **80.00** | **80.00** |
| ზრდა | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კლება | 76.30 | 76.30 | 80.00 | 80.00 | 80.00 | 80.00 |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | 76.30 | 76.30 | 80.00 | 80.00 | 80.00 | 80.00 |
| | | | | | | |
| ბალანსი | 0.00 | 0.00 | (0.00) | 0.00 | (0.00) | 0.00 |
| | | | | | | |
| მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი | | **3.37** | **1.34** | **7.28** | **1.94** | **0.37** |
| შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები) | **22.30** | **17.20** | **9.40** | **8.80** | **8.60** | **8.40** |

## 2.2 გასული 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

### 2021 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გეგმა შესრულებულია 75,2 % (გეგმა 9590,9 ათ. ლარი. ფაქტ 7154,9 .ათ. ლარი) აქედან გადასახადის გეგმა შესრულებულია 94,4 %-თ (გეგმა 5659,6 ათ. ლარი, შესრულება 5341,9 ათ. ლარი), გრანტებიდან მიღებული გვაქვს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის 1/12 ნაწილი. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის რომელიც ჩარიცხული 29,8 ათასი ლარი მიღებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალური ტრანსფერი რეგფონდის სამუშაებისათვის 1000,1 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია 117,9% (გეგმა 230,1 ათასი ლარი, ფაქტი 271,2 ათასი ლარი), კერძოდ: ბანკის მიერ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული გვაქვს 53,3 ათასი ლარი , ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი შემოვიდა 72,0

ათასი ლარი , 2021 წელს 6 თვეში მიწის იჯარიდან შემოვიდა 10,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 23,6 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული გვაქვს 50,0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 6,4 ათასი ლარი , ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხები მიღებული გვაქვს 49,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული გვაქვს 402,1 ათასი ლარი,

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 58.4 % (გეგმა 11228,9 ათ. ლარი, ფაქტი 6514,8 ათ. ლარი) აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - 837,6 ათასი ლარი
- საქონელი და მომსახურება - 644,4 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 2709,4 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 380,8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 133,5 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 1751,4 ათასი ლარი.
- პროცენტები -19,1 ათასი ლარი
- ვალდებულებების კლება - 38,2 ათასი ლარი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დაფინანსებულია 86,3 % ით (გეგმა 1356,9 ათასი ლარი, ფაქტი 1171,2 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის განვითრების თავი დაფინანსებულია 41,3 % ით (გეგმა 4958,6 ათ. ლარი და ფაქტი 2048,8 ათ. ლარი)

აქედან: სუბსიდიები სულ- 80,6 % (238,0 ათ.ლარი),

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მიმიდინარეობს სოფ. ჭიკაანში შიდა გზის მოასფალტების სამუშაოები, სოფ. ახალსოფელში მე-2 უბნის გზის რეაბილიტაცია,სულ მიმდინარე წელს 6 თვეში გადახდილი გვაქვს 573,2 ათასი ლარი. დღეისათვის დასრულებულია ჭიკაანის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს სოფ. საბუეში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარე წლს გადახდილია 144,1 ათასი ლარი.

ქ. ყვარელში დაიწყო სხვადასხვა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით, მათ შორის სანიაღვრე არხების მოწყობა,სამუშაოები მიმდინარეობს.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - გეგმა 322,0 ათასი ლარი, ფაქტი - 266,2 ათასი ლარი.(ელ. ენერგიის ღირებულება)

დასრულდა ქ. ყვარლის გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, მიმდინარე წელს შესრულებულია 442,7 ათასი ლარის სამუშაოები.სულ პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1081,3 ათასი ლარი.

ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაში გახარჯული გვაქვს 93,7 ათასი ლარი,

საქართველოს მთავრობის 1685 განკარგულებით მუნიციპალიტეტს 2020 წელს გამოეყო თანხა სტიქიის შედეგად დაზიანებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციოდ, სამუშაოების მცირე ნაწილის დასრულება მოხდა მიმდინარე წელს და ჩაირიცხა 31,9 ათასი ლარი.

სოფ. ახალსოფელში დასრულდა სკვერის მოწყობის სამუშაოები, შესრულდა 131,3 ათასი ლარის სამუშაო.

- შეძენილია 31,9 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს გადავუხადეთ 39100 ლარი შესრულებულ სამუშაოებზე განხორციელებული ზედამხედველობის ღირებულება;

მიმდინარე წელს შევიძინეთ 27,0 ათასი ლარის ნაგვის ურნები, რომლებიც განაწილდა მთელ რაიონში

- საბავშვო ბაღების გაერთიანების გეგმა 1402,0 ათასი ლარი, ფაქტი 1197,1 ათასი ლარი (85,4%),

-წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია - გეგმა 26,0 ათასი ლარი, ფაქტი 20,8 ათასი ლარი,

2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს მიეცათ დელეგირება საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებზე და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე, 2021 წლის 6 თვეში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის გაიხარჯა 26800 ლარი და ხოლო 105,2 ათასი ლარით დაფინანსებულია ყვარლის პირველი საჯარო სკოლის, ყვარლის მეორე საჯარო სკოლის, შილდის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის თავი დაფინანსდა 44,5 % ით (გეგმა 1861,1 ათასი ლარი, ფაქტი 829,4 ათასი ლარი) აქედან:

სპორტული და კულტურის ორგანიზაციების სუბსიდირება მოხდა 89% ით (გეგმა 875,4 ათასი ლარი, ფაქტი 782,0 ათასი ლარი)

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 20,0 ათასი ლარი, ფაქტი 7,3 ათასი ლარი.

მიმდინარე წელსაც ბიუჯეტში ცალკეა გამოყოფილი თანხები ახალგაზრდობის მხარდასაჭერად, 6 თვეში გახარჯულია 18700 ლარი; საიდანაც :

გადახდილია ახალგაზრდების პროფესიული გადამზადების, შეძენილია ჩირისა და სხვადასხვა მოწყობილობები საქმინობის დასაწყებად.

აღნიშნული ქონება გადაცემულია პროექტანტ ახალგაზრდაზე შესაბამისი პირობებით.

გაზეთი „ყვარელი“ დაფინანსდა 23,4 ათასი ლარით,

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაში გახარჯულია 15,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაფინანსებულია 93,1 % ით, (გეგმა 588,0 ათასი ლარი, ფაქტი 547,5 ათასი ლარი).

რაიონის შესაძლებლობის ფარგლებში გაწეულია ერთჯერადი დახმარება უმწეო მოსახლეობისათვის ,აგრეთვე მედიკამენტებით, მკურნალობის ნაწილობრივი დაფინანსებით, ელექტრო ენერგიის გადასახადით , გაცემულია ახალშობილთა დახმარებები .

მუშაობს უმწეოთა უფასო სასადილო (გეგმა 73,4 ათასი ლარი, ფაქტი. 64,9 ათასი ლარი)

2021 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 64,2 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

## 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გეგმა შესრულებულია 69,4 % (გეგმა 13065,4 ათ. ლარი. ფაქტ 9063,4 .ათ. ლარი) აქედან გადასახადის გეგმა შესრულებულია 101,4 %-თ (გეგმა 6913,2 ათ. ლარი, შესრულება 7011,4 ათ. ლარი), გრანტებიდან მიღებული გვაქვს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის 1/12 ნაწილი. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საიდანაც ჩარიცხულია 52,1 ათასი ლარი. მიღებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალური ტრანსფერი რეგფონდის სამუშაოებისათვის 962,9 ათასი ლარი და საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობის მიზნით გამოიყო კაპიტალური გრანტი 200,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, კერძოდ: ბანკის მიერ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული გვაქვს 142,3 ათასი ლარი , ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი შემოვიდა 63,9 ათასი ლარი , 6 თვეში მიწის იჯარიდან შემოვიდა 15,3 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 72,2 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული გვაქვს 143,9 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 16,6 ათასი ლარი , ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხები მიღებული გვაქვს 36,6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული გვაქვს 240,8 ათასი ლარი,

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 50,1 % (გეგმა 15381,4 ათ. ლარი, ფაქტი 7709,1 ათ. ლარი) აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - 1145,9 ათასი ლარი
- საქონელი და მომსახურება - 916,3 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 3427,6 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 424,1 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 164,1 ათასი ლარი;

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 1534,9 ათასი ლარი.
- გრანტები -38,1 ათასი ლარი;
- პროცენტი -19,9 ათასი ლარი
- ვალდებულებების კლება - 38,2 ათასი ლარი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დაფინანსებულია 80,2 ით (გეგმა 1974,9 ათასი ლარი, ფაქტი 1583,4 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის განვითრების თავი დაფინანსებულია 26,2 % ით (გეგმა 8715,9 ათ. ლარი და ფაქტი 2281,5 ათ. ლარი)

აქედან: სუბსიდიები სულ- 84 % (274,0 ათ.ლარი),

ქ. ყვარელში დაიწყო სანიაღვრე არხების მოწყობა, 6 თვის მდგომარეობით შესრულებულია 198,4 ათასი ლარის სამუშაოები, კერძოდ სამუშაოები მიმდინარეობს, ქ. ყვარელში სააკაძის ქუჩაზე და მის შესახვევებში , ჭავჭავაძისა და კუდიგორის ქუჩებზე, ტაბიძის ქუჩაზე, მარჯანიშვილის I ჩიხში, ასევე მიმდინარეობს არიხაულის არხის რეაბილიტაცია.

6 თვეში მუნიციპალიტეტში შესრულდა 422,1 ათასი ლარის გზების მოწყობის სამუშაოები, მათ შორისაა ალმატის სასაფლაოსთან მისასვლელი 2 გზის მოასფალტება, წ/სერში სკოლასთან მისასვლელი გზის მაოსფალტება, კუჭატნის შიდა გზის მოასფალტება,სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

6 თვეში მუნიციპალიტეტის ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, ექსპლუატაციაში გაიხარჯა 129,9 ათ. ლარი,საიდანაც 57,7 ათასი ლარით შეძენილია საწვავი, ხოლო 79,2 ათასი ლარი გახარჯულია ბალღოჯიაანის მდ. შოროხევის კალაპოტის, ყვარელში ბურსისა და დურუჯის კალაპოტების, სოფ. ენისელში მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის ბულდოზერების დასაქირავებლად.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - გეგმა 497,0 ათასი ლარი, ფაქტი - 351,6 ათასი ლარი.(ელ. ენერგიის ღირებულება 301,2, სანათების-50,3)

დაწყებულია გავაზის მინი სპორტული მოედნის მოწყობა, შესრულებულია 27,4 ათასი ლარის სამუშაო, გაგრძელდა ახალსოფლის სპორტდარბაზის მშენებლობა (357,6), დასრულდა

ქ. ყვარელში სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზის იატაკის რეაბილიტაციის სამუშაოები, სარეაბილიტაციო თანხამ შეადგინა 103,2 ათასი ლარი.

- შეძენილია 86,6 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- საბავშვო ბაღების გაერთიანების გეგმა 1612,6 ათასი ლარი, ფაქტი 1363,3 ათასი ლარი (84,5%),

-წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია - გეგმა 26,4 ათასი ლარი, ფაქტი 24,9 ათასი ლარი,

2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს მიეცათ დელეგირება საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებზე და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე, 2022 წლის 6 თვეში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის გაიხარჯა 52,1ათასი ლარი. გარემონტდა ყვარლის II საჯარო სკოლის სპორტდარბაზი (44,8 ათ. ლარი), გავაზის საჯარო სკოლისათვის შევიძინეთ საჰაერო გამთიშველი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის თავი დაფინანსდა 81,0 % ით (გეგმა 1367,5 ათასი ლარი, ფაქტი 1107,8 ათასი ლარი) აქედან:

სპორტული და კულტურის ორგანიზაციების სუბსიდირება მოხდა 94,2% ით (გეგმა 1051,7 ათასი ლარი, ფაქტი 991,4 ათასი ლარი)

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 50,0 ათასი ლარი, ფაქტი 49,8 ათასი ლარი.საიდანაც, 7,0 ათასი ლარი გადაირიცხა ა(ა)იპ ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციის ფუნქციონირებისათვის, და საქ. ძიუდოს ეროვნულ ფედერაციაში რაიონის ვეტერანი ძიუდოისტების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის თანადაფინანსება, დაფინანსდა საქველმოქმედო გარბენი „უკრაინისათვის“ მონაწილეთა თანხა, 6,3 ათასი ლარი გადახდილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახალხო დღესასწაულების ორგანიზებისათვის,ხოლო36,2 ათასი ლარი გადახდილი გვაქვს მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ჯილდოები.

გაზეთი „ყვარელი“ დაფინანსდა 25,7 ათასი ლარით,

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაში გახარჯულია 17,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაფინანსებულია 93,7 % ით, (გეგმა 624,7 ათასი ლარი, ფაქტი 585,1 ათასი ლარი).

გაწეულია ერთჯერადი დახმარება უმწეო მოსახლეობისათვის ,აგრეთვე მედიკამენტებით, მკურნალობის ნაწილობრივი დაფინანსებით, ელექტრო ენერგიის გადასახადით , გაცემულია ახალშობილთა დახმარებები .

უმწეოთა უფასო სასადილო დაფინანსდა 6 თვეში 90,5 ათასი ლარით

2022 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 37,7 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის და უკრაინის დასახმარებლად.

1 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის საბანკო და სახაზინო ანგარიშებზე აქვს 5219,8 ათასი ლარი, საიდანაც 835,6 ათასი ლარი მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთია.

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და რუსეთის ფედერაციის უკრაინაში განხორციელებულმა შეჭრამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ყვარლის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2023-2026 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას

საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ყვარლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ყვარლის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

## მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმარმთა შეხვედრები. შემუშავდა 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის

განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **ტურიზმი;**
- **ეკონომიკა.**

| 2023-2026 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პრიორიტეტის კოდი** | **პრიორიტეტის დასახელება** | **2023 წელი** | **2024 წელი** | **2025 წელი** | **2026 წელი** |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება | 4,313.7 | 4,303.7 | 4,303.7 | 4,303.7 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 140.0 | 140.0 | 140.0 | 140.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 2,568.6 | 2,625.0 | 2,695.0 | 2,775.0 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 106.0 | 106.0 | 106.0 | 106.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 03 00 | დასუფტავება და გარემოს დაცვა | 607.0 | 1,353.0 | 1,422.2 | 1,360.0 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 145.0 | 145.0 | 145.0 | 145.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 04 00 | განათლება | 3,592.6 | 3,593.6 | 3,602.6 | 3,604.6 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 359.0 | 359.0 | 359.0 | 359.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი | 2,697.9 | 2,803.4 | 2,959.6 | 2,987.6 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 312.0 | 312.0 | 312.0 | 312.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1,349.8 | 1,454.8 | 1,470.3 | 1,486.3 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 27.0 | 27.0 | 27.0 | 27.0 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 07 00 | ტურიზმი | - | - | - | - |
| | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 08 00 | ეკონომიკა | - | - | - | - |
| | მ.შ. რიცხოვნობა | | | | |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| *სულ ჯამი* | | *15,129.6* | *16,133.5* | *16,453.4* | *16,517.2* |
| *მ.შ. რიცხოვნობა* | | ***1,089.0*** | ***1,089.0*** | ***1,089.0*** | ***1,089.0*** |
| *მ.შ. ახალი ინიციატივები* | | **-** | **-** | **-** | **-** |

**შენიშვნა**: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

## ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების

წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

განხორციელდება  გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება,

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

**კულტურა, ახალგაზრდობა  და სპორტი**

მუნიციპალიტეტის  ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია  ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა  და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და

უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.